,,სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნა“

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ

,,სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი და მის მიმართ გააჩნია შემდეგი სახის შენიშვნები:

1. წარმოდგენილ 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში ყველგან აღნიშნულია „ლტოლვილი“ და უნდა მიეთითოს „დევნილი“, რაზედაც მთავრობის ადმინისტრაციის სამართლებრივი ზედამხედველობის ორგანოს მიერ წინა წელსაც შენიშვნა გამოითქვა.
2. კოდი 05 02 01 02 (ა(ა) იპ) კულტურის ცენტრი) დაგეგმილ ღონისძიებებში აუცილებლად იქნას გათვალისწინებული ნინო რამიშვილის საღამოს ჩატარება, ასევე ოთარ რამიშვილის საღამოს ჩატარება.
3. სოციალური პროგრამების დაფინანსება 2020 წელს უნდა განხორციელდეს 540 000 ლარით, შეუსაბამობაა მითითებულ თანხასა და თითოეული პროგრამის მიხედვით ჯამურ თანხებს შორის, გაუგებარია რომელი სოციალური პროგრამის დაფინანსება შემცირდა და რამდენით. ვითხოვთ დეტალურ ანგარიშს.
4. პროექტში გასასწორებელია ორთოგრაფიული შეცდომები, აღნიშნული დოკუმენტი საჯაროა, იგი უნდა გამოქვეყნდეს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ. გვერდზე და შესაბამისად სტილისტურად გამართული უნდა იყოს.
5. 2020 წლის ბიუჯეტში 2 იდან 8 წლამდე ბავშვებში აუტიზმის სპექტრის აშლილობის დასადგენად დიაგნოსტიკური კვლევების გათვალისწინება და დაფინანსება 5 000 ლარით.
6. დადგენილების პროექტის პრეამბულაში „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ნაცვლად მითითებულია საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ , რომელიც შესაბამისობაშია მოსაყვანი კანონმდებლობასთან.